

## თმის სტილისტი



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

- საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
  - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო თმის სტილისტის

პროფესიული სტანდარტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საბაზო განათლება

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სილამაზის სალონებსა და ცენტრებში, ტელე და კინოსტუდიებში, თეატრებში, დაბადების დღისა და საქორწილო სალონებში და ყველგან, სადაც ხორციელდება თმის მოვლის პროცედურები.

**პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიცირებული თმის სტილისტი, რომელიც შეძლებს საპარიკმახერო სფეროში დამოუკიდებლად მომსახურებას.

**სწავლის შედეგები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვით მამაკაცის თმის შეჭრა,
- ქალის თმის შეჭრა,
- თმის დავარცხნა,
- თმის შეღებვა, მელირება, გაღიავება,
- თმის მოვლასა და იერ-სახის შეცვლასთან დაკავშირებული სხვადასხვა მანიპულაციების ჩატარება.

**პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- მოცულობა: 61 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 11 სასწავლო თვე თმის სტილისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მისაღებად იმ სტუდენტებმა, რომელთაც პროფესიული ტესტირება გაიარეს ქართულ ენაზე უნდა დააგროვონ ჯამურად 61 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის სავალდებულო ზოგადი მოდულები, 45 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები.
- იმ სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტესტირება რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა დააგროვონ 76 კრედიტი, რომელთაგან 31 კრედიტი არის ზოგადი მოდულები (მათ შორის: 15 კრედიტი ქართული ენის A2 მოდული), 45 კრედიტი არის სავალდებულო პროფესიული მოდულები. სწავლის ხანგრძლივობა 14 სასწავლო თვე.

**პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:**

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
რაოდენობრივი წიგნიერება	2	გაცნობითი პრაქტიკა თმის სტილისტი	2		
ინფორმაციული წიგნიერება 1	3	საწარმოო პრაქტიკა-თმის სტილისტი	8		

მეწარმეობა 1	2	პრაქტიკული პროექტიუმის სტილისტი	5		
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	თმის და კანის დიაგნოსტიკა	3		
უცხოური ენა - ინგლისური	4	ჰიგიენა და სანიტარია, სამუშაო ადგილის ორგანიზება	2		
სამოქალაქო განათლება	2	მამაკაცის თმის შეჭრა	3		
		ქალის თმის შეჭრა	3		
		თმის დავარცხნა	2		
		ფერთა თეორია და საღებავების კლასიფიკაცია	2		
		შეღებვის სახეობები	2		
		თმის შეღებვის სამუშაოების განხორციელება	3		
		თმის მელირება და გაღიავა	4		
		თმის დახვევა და გასწორება	3		
		სპეციალური ხატვა თმის სტილისტისთვის	3		
სულ:	16	სულ:	45		
ქართული ენა A2	15				